მენორა

מנורה

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

ებრაული გაზეთი საქართველოში

MENORA
JEWISH NEWSPAPER
IN GEORGIA

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

``МЕНОРА``
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
В ГРУЗИИ

ოქტომბერი
(ხეშვანი)
15-30
№20 (284)
(5769 წელი)
2008 წელი
ფასი 50 თეთრი

ისრაელის საელჩოს პრესრელიზი

ისრაელის ელჩმა იცხაკ გერბერგმა საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს რწმუნებათა სიგელები გადასცა

2008 წლის 7 ოქტომბერს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იცხაკ გერბერგმა საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს რწმუნების სიგელი გადასცა.

ოფიციალური ცერემონიალის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტსა და ისრაელის ელჩს შორის გაიმართა საუბარი, რომელზეც მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობის საკითხები განიხილეს და იმედი გამოთქვეს, რომ ტრადიციულად არსებული ურთიერთობა ორ მეგობარ ქვეყანას შორის სამომავლოდ უფრო გაღრმავდება და ორმხრივი თანამშრომლობის ყველა სფეროს მოიცავს.

ოვადია იოსეფი — ისრაელის დიდი რაბინი, თორის მცოდნეთა საბჭოს პრეზიდენტი
იერუსალიმი, 7 ელული 5768

კურთხევის წერილი

ჩვენს ძმებს საქართველოში ისრაელის დიდი სახლეულიდან. სამარადისო მშვიდობა თქვენ!

ახალი - 5769-ე წლის დამდეგს - მსურს დავლოცო ჩვენი წმინდა თემების ყველა წარმომადგენელი და იმ ქვეყნების მცხოვრებლები, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ.

გისურვებთ ბედნიერ წელიწადს, ჯანმრთელობას, წარმატებებს, დოვლათსა და ბარაქას.

თქვენი ხელიდან გამოსულ ყველა ნამოქმედერსა და ნაღვაწს ახლდეს ყველანაირი ლოცვა-კურთხევა. დამთვრდეს წელი თავისი უსიამოვნებებით და დადგეს წელი თავისი კურთხეული კეთილდღეობით. გქონდეთ ულევი სიხარული, გაგიგრძელდეთ სიცოცხლის წლები და დღეები. ბედნიერებით, სიმდიდრით, პატივისცემით, უთვალავი წარმატებებითა და კარგი გუნებაგანწყობილებით, დიდი კეთილდღეობით.

რაბინი ოვადია იოსეფი
7 ელული 5768 წელი



ამ დღეებში ებრაელობა იწყებს მარადიული წიგნის - თორის - ძველი აღთქმის კითხვის ახალ ციკლს. ხელახლა ვეზიარებით ღვთისეულ მცნებებს. მრავალგზის!

ქართველი ებრაელი ქალები ისრაელში

გაგრძელება

თამარ მოშიაშვილი — ბარ-მოშე — დაიბადა ქ. ქუთაისში, მორწმუნე ებრაელის — იანკელ მოშიაშვილის სახელოვან, მრავალშვილიან ოჯახში. 1962 წელს დაამთავრა ქუთაისის პედ-ინსტიტუტის ქართული ენისა და უცხო ენების ფაკულტეტი. 10 წლის განმავლობაში მუშაობდა გერმანული ენის ინსპექტორად განათლების განყოფილებაში, ითვლებოდა გერმანული ენის სპეციალისტად და ქ. ქუთაისის ერთ-ერთ მასწავლებლად.

1974 წელს ამოვიდა ისრაელში ოჯახთან ერთად. მეუღლე ეკონომისტია, ჰყავთ ორი შვილი და შვილიშვილები.

5 თვიანი ულპანის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს იერუსალიმის სოც-დაზღვევის ცენტრალურ სამინისტროში — დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ხელშეკრულებათა დადების და კავშირების წამყვან თანამშრომლად.

თამარი სამსახურში გამოირჩევა თავისი საქმის საუკეთესო ცოდნითა და შესრულებით, პასუხისმგებლობით, საქმის სწრაფი და ხარისხიანი შესრულებით.

საუკეთესო და თავდადებული მუშაობისათვის 2003 წელს მას მიენიჭა „წარჩინებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

თამარი 30 წელი ენერგიულად ემსახურა სახელმწიფოს და თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის საქმიანობაში. მისი ოჯახი ქალაქში ცნობილია ებრაული ტრადიციების მატარებელ დიდ ოჯახად.

დღეს იგი დამსახურებულ პენსიაზეა. წარჩინებული მუშაკი ოჯახის საუკეთესო დიასახლისი, მზრუნველი დედა და ნათესავი — მეუღლესთან ერთად შვილისა და შვილიშვილების მზრუნველობით და სიყვარულით არის გარემოსილი.

ესთერ თეთრუაშვილი — დაიბადა ქ. ქუთაისში — ტრადიციულ ებრაულ ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის საშუალო სკოლა და 1972 წელს მეუღლესთან და ერთადერთ ქალიშვილთან ერთად ამოვიდა ისრაელში. დასახლდა იერუსალიმში. აქვე დაამთავრა ივრითის შემსწავლელი კურსები და სპეციალობის უქონლობის გამო ძლიერ გაუჭირდა სამუშაოს პოვნა. მეუღლის ავადმყოფობის გამო იგი გახდა ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. მუშაობდა დროებით ადგილებზე, ბოლოს, 1977 წელს, მუშაობას იწყებს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ სპეციალურ დახურული განყოფილების საწარმოო-მექანიკურ წარმოებაში — მუშად. საწარმოში სამუშაო 3 ცვლიანია და მიმდინარეობს სახელმწიფო საბუთების, პასპორტების, ფულის, ჟეტონების, ლატარეიის ბილეთების დამზადება. ესთერი კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ყოველგვარ დავალებას. გამოირჩეოდა საუკეთესო დისციპლინით, კოლექტივში მუშაობის დადებითი თვისებებით. გეგმის ნორმის და გადაჭარბებით შესრულებით.

1998 წელს საუკეთესო მუშაობისათვის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ დაჯილდოებული იქნა „წარჩინებული მუშაკი“-ს საპატიო სიგელით.

შრომაში გადაღლილი, კეთილი ბუნების მქონე ესთერი დიდი ხანია ქვრივი-პენსიონერია. ცხოვრობს ქალიშვილთან ერთად და დღენიადაგ ზრუნავს ოჯახზე და ერთადერთი შვილის ოჯახის ბედნიერებაზე.

სიმა აჯიაშვილი — დაიბადა ქ. ქუთაისში. აქვს საშუალო განათლება. 1973 წელს მშობლებთან ერთად ამოვიდა ისრაელში. დასახლდნენ იერუსალიმში. დაამთავრა საბუღალტრო სასწავლებელი და ივრითის შემსწავლელი კურსები. ჰყავს ორი შვილი, შვილიშვილი. 1975 წელს მუშაობას იწყებს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საწარმოო-მექანიკურ დაწესებულებაში — მუშად. საწარმოში მიმდინარეობს სახელმწიფო საბუთების, დარკონების (საზღვარგარეთის პასპორტების), მარკების, ფულის და ჟეტონების, ლატარიის ბილეთების დამზადება. სამუშაო სამცვლიანია და მოითხოვს მომუშავე პერსონალისაგან დიდ ფიზიკურ შრომას დაზგებთან, სისწრაფეს და პასუხისმგებლობას.

კეთილსინდისიერი მუშაობისათვის სიმა მალე გადაყვანილ იქნა პროდუქციის დამხარისხებლად. მისი შრომა ღირსეულად იქნა შეფასებული ადმინისტრაციის მიერ. ითვლებოდა მაღალი თანრიგის მქონე მუშაკად. კოლექტივში გამოირჩეოდა მუშაკის საუკეთესო თვისებებით. ხელმძღვანელობდა კოლექტივის კულტურულ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

1999 წელს საუკეთესო მუშაობისთვის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ დაჯილდოებული იქნა „წარჩინებული მუშაკის“ საპატიო სიგელით.

დღესდღეობით სიმა პენსიონერია და აქტიურად მონაწილეობს ჩვენი თემის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ლაურა იოსებაშვილი — დაიბადა ქ. ქუთაისში. ისრაელში ამოვიდა 1973 წელს მეუღლესთან ერთად. აქვს საშუალო განათლება. ჰყავს ორი შვილი და შვილიშვილები. ახალგაზრდა ქალი ძალიან ადრე დაქვრივდა და ოჯახის რჩენა მას დაეკისრა.

1976 წელს მუშაობას იწყებს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საწარმოო-მექანიკურ დაწესებულებაში, სადაც მიმდინარეობს სახელმწიფოს ოფიციალური საბუთების, პასპორტების, დარკონების, ფულის მოჭრის, ჟეტონების და ლატარიის ბილეთების დამზადება. წარმოება თავისი დანიშნულების მიხედვით მოითხოვდა თანამშრომლებისაგან დიდ ფიზიკურ შრომას, სამცვლიან სამუშაო დღეს, დიდ პასუხისმგებლობას, ყურადღებას, კეთილსინდისიერებას და ნაწარმის საუკეთესო და ხარისხიან შესრულებას. ეს წარმოება ისრაელში ცნობილია სპეციალურ და მეტად საპასუხისმგებლო დახურულ წარმოებად.

ლაურამ დიდი სიბეჯითე, შრომისა და საქმისადმი დიდი სიყვარული გამოავლინა. მას ხშირად გზავნიან სემინარებზე თელ-ავივში. სწავლობს ივრითს და გადის კომპიუტერის შემსწავლელ კურსებს. ამყარებს საუკეთესო კონტაქტს წარმოებაში მომუშავე პერსონალთან. ნაცნობ-მეგობრებთან და საერთოდ მშვიდი ბუნების მქონე მუშაკი წარმოების ხელმძღვანელობის დიდ პატივისცემას იმსახურებს.

სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ ამ წარმოებაში მომუშავე ზემოთ ჩამოთვლილმა სამმა ქალბატონმა — ეთერ თეთრუაშვილმა, სიმა აჯიაშვილმა და ლაურა იოსებაშვილმა საუკეთესოდ გაართვეს თავი ასეთ დიდ ფიზიკურ სამუშაოს და 1998-99 წლებში ღირსეულად დაიმსახურეს „წარჩინებული მუშაკი“-ს საპატიო სიგელი.

ლაურა იოსებაშვილი, რომელიც დღეს ფულის გამომჭრელი და ოფიციალური საბუთების დამამზადებელი განყოფილების უფროსია — დღესაც წარმატებით აგრძელებს მუშაობას ამ წარმოებაში და თავის საქმიანობას თანაბრად უფარდებს ოჯახის, შვილიშვილების მზრუნველობას, სიყვარულს, მოვლა-პატრონობას.

ქ-ნი ეთერი და სიმა კი პენსიაში არიან გასულები. მათ სახელმწიფო პენსია აქვთ დანიშნული — ბიტუახ ლეუმის პენსიასთან ერთად.

ნათელა დავითის ასული შათაშვილი — დაიბადა ქ. ქარელში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გათხოვდა და საცხოვრებლად გადავიდა თბილისში. მეუღლე შოთა შათაშვილი — წლების მანძილზე მუშაობდა სპორტული უნივერმაღის მმართველად. ჰქონდა ტრადიციული ებრაული ოჯახი და საუკეთესო სახელით სარგებლობდნენ საზოგადოებაში.

1972 წელს ამოვიდნენ ისრაელში ორი ბავშვით და გაანაწილეს აფულას დახურულ ულპანში — გივათ ამორეში.

1973 წელს ოჯახი გადმოდის ბათიამში, ნათელა მუშაობას იწყებს შრომის სამინისტროს თელ-ავივის ფილიალში — შრომითი ანაზღაურების განყოფილებაში.

ჰყავთ ორი წლის შვილიშვილი.

ნათელამ მუშაობის პერიოდის პარალელურად დაამთავრა საბუღალტრო კურსები სამი თანრიგით, რის შემდეგაც მალე იქნა დაწინაურებული ბუღალტრის თანამდებობაზე და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ითვლებოდა რჩეულ ბუღალტერთა შორის.

დაკისრებული სამუშაოს დროულად, ხარისხიანად და საუკეთესოდ შესრულებისათვის შრომის სამინისტროს მიერ იგი სათანადოდ იქნა დაფასებული სიგელებით.

1988 წელს მიენიჭა „წარჩინებული მუშაკი“-ს საპატიო წოდება.

1993 წელს გაზეთ „იედიოთ ახორონოთის“ მფარველობით მიენიჭა „საუკეთესო თანამშრომლის“ (მეულა) სიგელი ქვეყნის პრეზიდენტის რეზიდენციაში წარდგენით, ფულადი პრემიით, ამ რეზიდენციაში არსებული წლის საუკეთესო თანამშრომლების საპატიო წიგნში ჩაწერით.

ნათელა 2003 წელს 30 წლის ნაყოფიერი მუშობის შემდეგ გავიდა პენსიაში და მეუღლესთან ერთად მთელ თავის დროს, ენერგიას და დიდ სიყვარულს მაქსიმალურად უთმობს ოჯახს, შვილიშვილის მოვლა-მზრუნველობას. თავისუფალ დროს კი მონაწილეობს თორის გაკვეთილების შემსწავლელ ქალთა ჯგუფში და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

რივა ემანუელის ასული დავითაშვილი-ზოჰარი დაიბადა ქ. თბილისში — საქართველოს ებრაელთა სულიერი წინამძღვრისა და დიდი რაბინის ემანუელ დავითაშვილის ტრადიციულ ოჯახში.

რივა დავითაშვილმა ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1969 წელს წარჩინებით, წითელ დიპლომზე დაამთავრა. უნივერსიტეტის დამთავრებამდე მან თავისი ცხოვრება დაუკავშირა იმ დროისათვის საქართველოს სინამდვილეში საკმაოდ ცნობილ იურისტს — სიმონ ძორელაშვილს და ორივემ ერთად შექმნეს საუკეთესო ოჯახი. სამწუხაროდ, ძალიან ნაადრევად, 1977 წელს — სიმონ ძორელაშვილი საქართველოში გარდაიცვალა.

1979 წელს ძლიერ ტრამვირებული ახალგაზრდა ქალი, ორი პატარა ბავშვით ამოვიდა ისრაელში.

ისრაელში რივა დაეუფლა ახალ სპეციალობას — ბიბლიოთეკათმცოდნეობას.

1982 წლიდან მუშაობას იწყებს ხაიფის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ტექნიონის მეცნიერული ბიბლიოთეკის — წიგნთა გაცემის — განყოფილების გამგედ. პარალელურად ლექციებს უკითხავს ტექნიონის სტუდენტებს, მაგისტრებს და დოქტორანტებს თემაზე: როგორ შეაფასონ ინტერნეტში წარმოდგენილი ლიტერატურის დონე, როგორ აწარმოონ ტექნიკური და მეცნიერული ლიტერატურის მიმოხილვა და მისი გამოყენება სადიპლომო შრომებისა და დისერტაციების წერის პროცესში, ატარებს სემინარებს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების თანამშრომლებისათვის და აცნობს მათ ამ სფეროში არსებულ სიახლეებს.

რივა მივლინებით იგზავნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკათა დასათვალიერებლად. პროფესიული კონტაქტების დასამყარებლად, გამოცდილებისა და აზრების ურთიერთგასაცვლელად. მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და გამოდის მოხსენებებით.

1972-97 წლებში რივა თავმჯდომარეობდა ისრაელის უმაღლეს სასწავლებელთა ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფთა კომიტეტს, რომლის წევრიც არის დღემდე.

რივა დავითაშვილს 1991 წელს საუკეთესო მუშაობისთვის მიენიჭა ხაიფის ტექნიონის „წარჩინებული თანამშრომლის“ საპატიო წოდება გაზეთ „მაარივის“ მფარველობით.

მოგვყავს ნაწყვეტი ტექსტისა, რომელიც გამოქვეყნდა ამ მოვლენასთან დაკავშირებით გაზეთ „მაარივსა“ და ტექნიონში გამომავალ ჟურნალ „მაბატ ტექნიონში“.

რივას ხელქვეითი მრავალრიცხოვანი პერსონალია, რომელიც დასაქმებულია სხვადასხვა განყოფილებებში. ის თავის თავზე იღებს დიდ საპასუხისმგებლო საქმეებს, ავტორია მრავალი რაციონალიზატორული წინადადებების. მისი ინიციატივით ინერგება უამრავი სიახლენი ყოველდღიურ სამუშაო პროცესში და ხორციელდება მრავალფეროვანი მეთოდები ბიბლიოთეკის კომპიუტერიზაციაში. იგი წარმატებით და გულმოდგინედ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. აქვს რთული, მეგობრული და პროფესიული ურთიერთკავშირი არა მარტო ტექნიონის ბიბლიოთეკათმცოდნეებთან, არამედ ისრაელის დანარჩენ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების თანამშრომლებთან.

საზოგადო მოღვაწე — რივა დავითაშვილი თავის შრომით, მოღვაწეობით, ადამიანობით ჩვენი თემის და ქვეყნის საამაყო და სახელოვანი შვილია.

რუთი მიხაელის ასული ფიჩხაძე — დაიბადა ქ. თბილისში ხელოვნების მუშაკების — ლილი და მიხეილ ფიჩხაძეების ოჯახში.

1972 წელს რუთის მშობლები ამოვიდნენ ისრაელში მცირეწლოვან ორ ქალიშვილთან ერთად. მათ მიიღეს განაწილება ქ. დიმონის დახურულ ულპანში. ინტენსიური ულპანის დამთავრების შემდეგ — ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ქ. ნათანიაში.

რუთიმ წარმატებით დაამთავრა ნათანიის „ტელმა-იალინის“ სახ. ხელოვნების სკოლა და 1982 წლს გაწვეული იქნა სამხედრო სავალდებულო არმიაში, რაც იმ დროისათვის დიდ მოულოდნელობას წარმოადგენდა ქართველ ებრაელთა თემში. მომავალ წელს მას შეუერთდა მისი უმცროსი და, და ფიჩხაძეების ოჯახს ორი ჯარისკაცი-ქალი ამშვენებდა.

ერთი წლის შემდეგ რუთი გათხოვდა. მისი ორი შვილი — ქალ-ვაჟი დღეს ისრაელის არმიის საამაყო ჯარისკაცები არიან.

რუთის ოცნებაა მიიღოს უმაღლესი აკადემიური განათლება.

1990 წელს რუთი მუშაობას იწყებს აბსორბციის სამინისტროს ლოდის აეროპორტის განყოფილებაში — „ნადბაგში“, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნებიდან ახლად ჩამოფრენილი ასობით რეპატრიანტის მიღება-განაწილება, საბუთების გაფორმება, პირველადი განაწილება, რჩევა-დარიგების და პირველადი ფულადი დახმარების გაცემა — ისრაელის რეპატრიანტის პირველი საბუთების „თეუდათ ოლეს“ გაცემა, „ნადბაგში“ მუშაობა მიმდინარეობს 24 საათის განმავლობაში — 3-ცვლიანის სამუშაო დღით და მოითხოვს დიდ ყურადღებას, პასუხისმგებლობას, საქმის სათანადოდ ცოდნას და ენის უცოდინარ სხვადასხვა ასაკის რეპატრიანტებისადმი გულისხმიერ მოპყრობას. რუთიმ სათანადოდ გაართვა თავი დაკისრებულ სამუშაოს. მუშაობის პერიოდში მან გაიარა დახელოვნების სხვადასხვა კურსები და ღირსეულად არის დაწინაურებული მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე.

2005 წლიდან რუთი ასრულებს „ნადბაგის“ ადმინისტრაციული უფროსის თანამდებობას.

1996 წელს აბსორბციის სამინისტრომ რუთი ფიჩხაძე დააჯილდოვა „წარჩინებული თანამშრომლის“ საპატიო წოდებით და სიგელით.

ერთგული, კეთილსინდისიერი და საქმისადმი მეტად პასუხისმგებელი მუშაკი დღესაც დიდი სიყვარულით განაგრძობს მუშაობას ლოდის აეროპორტის აბსორბციის განყოფილებაში და თავისი წვლილი შეაქვს რეპატრიაციის და აბსორბციის მამულიშვილურ დიდ საქმეში.

საშემოდგომო დღესასწაულებს მიეძღვნა

ებრაულ სახლში საზეიმოდ აღინიშნა როშ-ჰაშანის დღესასწაული. დარბაზში სუფრას უსხდნენ ქართველიებრაელთა წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები. თითოეულ მაგიდას ამშვენებდა როშ-ჰაშანისთვის შესაფერისი ტკბილეულობა და ხილეული. სტუმრებს შორის იმყოფებოდა: ისრაელის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში — იცხაკ გერბერგი მეუღლესთან— შიფი გერბერგთან ერთად

დარბაზი

საღამო გახსნეს მუსიკოსმა ედუარდ პალნტახიენდიმ, რომელმაც ულამაზესი მელოდიები შეასრულა ვიოლინოზე და მომღერალმა მარიკა მირველაშვილმა, მან ცნობილი ებრაული და ქართული სიმღერები ააჟღერა.

საღამოს წამყვანმა — ზაირა დავარაშვილმა თქვა:

— მიხარია თქვენი ხილვა თბილისის ებრაულ სათემო სახლში, გამოგიტყდებით, რომ ბევრი არ გვიფიქრია იმაზე, თუ, როგორ უნდა დაგვეწყო დღევანდელი საღამო, რამეთუ გაიჟღერა იმ მელოდიებმა, რომლებიც არაერთხელ მოგისმენიათ აქ, ებრაულ სახლში. ამ მელოდიებს მე დავუმატებდი ერთ ფრაზას ებრაული სიმღერიდან: “ჩვენ კვლავ ერთად ვართ, მშვიდობა თქვენდა, მშვიდობა ყველას.” მე მინდა ერთი ლამაზი ებრაული გამოთქმით მოგილოცოთ ის დღეები, რომლებიც დაუდგა მსოფლიო ებრაულ სახლეულს, რომ გქონოდეთ ბედნიერი წელიწადი— 5769-ე წელიწადი ებრაული კალენდრით, თაფლივით ტკბილი, ბროწეულივით სავსე და ხალასავით მრგვალი. დიდი მადლობა მობრძანებისთვის.

ბ-ნი ელჩი სიამოვნებით უსმენს პატარა მომღერლებს

შეკრებილთ შემოდგომის დღესასწაულები მიულოცა მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში ავიმელეხ როზენბლატმა:

— მრავალი ლამაზი დღესასწაულის მომსწრენი ვართ ჩვენ, დაწყებული როშ-ჰაშანიდან დამთავრებული სუქოთით, რომელიც მალე დადგება. გისურვებთ კარგ, ლამაზ, სიხარულით აღსავსე წელიწადს, ეს წელი ყოფილიყოს წარმატებული, დალოცვილი ყველასათვის. ხვალ იწყება სუქოთის დღესასწაული, ეს არის ჩვენი სიხარულის დღესასწაული. ამ დღესასწაულით არა მხოლოდ ებრაელებმა უნდა გაიხარონ, არამედ ყველა ერის წარმომადგენელმა.ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს წელი იქნება თითოეული ჩვენგანისთვის ნამდვილი სიხარულის, ურთიერთგაგების და ბედნიერების მომტანი. კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას.

გვილოცავენ და გვიმღერიან ბავშვები

ამის შემდეგ ზაირა დავარაშვილმა საზოგადოებას გააცნო საქართველოში ისრაელის სრულუფლებიანი ელჩის — იცხაკ გერბერგის ბიოგრაფია.ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იცხაკ გერბერგი ამბობს:

— მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო. ბევრ სახელმწიფოში მიმსახურია, თუმცა, თბილისში ჩამოსვლისთანავე ისეთი გრძობა დამეუფლა, როგორიც არსად არ განმიცდია. დიდ ბოდიშს გიხდით იმის გამო, რომ ჯერჯერობით ვერ ვლაპარაკობ ქართულ ენაზე. მე ჩამოვედი საქართველოში ომის დროს, როცა ძალზე დაძაბული იყო მდგომარეობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხალხი გავიცანი, მივხვდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, იმ განსაკუთრებული ადამიანების გამო, ვინც ახლა აქ იმყოფება. ჩვენ ისრაელში აღვნიშნეთ როშ-ჰაშანა — ჩვენი ახალი წელი. ბევრი ძალისხმევა იქნება საჭირო როგორც აქ, ისე ისრაელში, რომ ეს წელი მშვიდობიანად და კარგად გავატაროთ. ჩვენ ყველანაირად შევეცდებით დავძლიოთ ის ეკონომიკური კრიზისი, რაშიც ახლა ვიმყოფებით, განსაკუთრებით ჩვენი მეზობლების გამო. პრობლემები გვაქვს ირანთან. ირანი, მოგეხსენებათ, ამზადებს ატომურ იარაღს, რაც ჩვენს ყურადღებას იმსახურებს. მე შევხვდი პრეზიდენტ სააკაშვილს და ისრაელის სახელით შევპირდი, რომ ყველაფერს გავაკეთებ თქვენს დასახმარებლად. ვაღიარებ რომ წლის დასაწყისი არ არის სახარბიელო, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. გილოცავთ ახალ წელს.

შეკრებილთ ახალი წელი მიულოცეს ბეით-ქნესეთის გაბაიმ — შალვა ქოსაშვილმა, ებრაული სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ — რეზო შათაშვილმა.

ჯამლეტ ხუხაშვილმა, გურამ პაატაშვილმა, მეირ ზიზოვმა, ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ იბრძოდნენ ებრაული სახლის დაბრუნებისათვის და როგორ მიაღწიეს გამარჯვებას. ჯ. ხუხაშვილმა საზოგადოებრიობას გააცნო იმ ადამიანთა გვარები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ებრაული სახლის დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

პროფკავშირულმა მოღვაწემ დანიელ (დენის) დავითაშვილმა კი ამ თემაზე გამომსვლელებს მოუწოდა გამარჯვებას მხოლოდ თავის თავზე ნუ მიიწერენ და გაითვალისწინონ სხვათა ღვაწლიც—კერძოდ ისრაელის შრომის პარტიის ლიდერის ისრაელის ექსპრემიერის — ეჰუდ ბარაქის როლი, რომელმაც ამ საკითხზე მოლაპარაკება გამართაო ,,ჯოინთის“ ხელმძღვანელობასთან.

პატარებმა—ქ-ნი ისრაელიანის აღსაზრდელებმა შეასრულეს ებრაული სიმღერები.

წარმოდგენილი იქნა მისალოცი ბარათები,რომლებიც თითოეულ სტუმარს დახვდა თავის მაგიდაზე, მოეწყო პრეზენტაცია ებრაული კალენდრისა, რომელიც დამზადებულ იქნა ალიკ ვლასოვის მიერ. ზ.დავარაშვილმა ისაუბრა სახლის იმ პროექტებზე რომელსაც, თბილისის ებრაული სახლი ახორციელებს. ზაირა დავარაშვილმა ხესედელი ქალბატონის მიერ მოქარგული როშ-ჰაშანისადმი მიძღვნილი ტილო წარმოგვიდგინა.

ტრადიციულად ებრაულ სახლში გზას ულოცავენ იმ ებრაელ ახალგაზრდებს, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებელში განაგრძეს სწავლა.ამჯერად ებრაულ სახლს ესტუმრა სამი პირველკურსელი: ლიანა ჯანაშვილი, მაია ყვითელაშვილი და ლონა ჯანაშვილი.

საღამოს ბოლოს წაიკითხეს მადლობის ის წერილები, რომლებიც რეზო შათაშვილს გამოუგზავნეს, თბილისის ,,ხესედ ელიაჰუს“ საზრუნავმა პირებმა ნაყოფიერი მუშაობის გამო.

თინათინ შენგელია

პირველკურსელები

სალამი და გამარჯვება ჩემს ძმას კაკოს!

ბატონ აკაკი იობაშვილს

საკითხი, რომელიც ვანსჯას ვოლითხოვს

ალბათ იფიქრებ, ეს მიხო ნანიკაშვილი კარგად ვერ არის, სულ ორი თვის უკან მასთან ვიყავი ისრაელში, ტელეფონზე თითქმის ყოველდღე ვსაუბრობთ და კიდევ წერილს მიგზავნისო. ეგრე არ იფიქრო, მე ძალიან კარგად, მეტად კმაყოფილი და გახარებული ვარ. ჯერ ჩვენი სპექტაკლის წარმატებით, ყველა ქალაქში, სადაც კი ჩავატარეთ ისეთივე ანშლაგი და წარმატებაა, როგორის მოწმეც შენ იყავი, აქ ისრაელში, პრემიერის დღე. — გამოხმაურება მოჰყვა და ბილეთები არ იშოვება. ეს, ისრაელის სინამდვილეში, ჯერ არ მომხდარა. არც ჩემს ყოფილ თეატრში (მაშინ საკმაოდ მყავდა მაყურებელი, მაგრამ ამდენი — არა) და არც სხვა თეატრალურ დასებში. ამ წარმატებას მიუმატე ისეთი მეგობრის, როგორიც შენ ხარ, ყოველმხრივი მხარდაჭერა და აქ ჩამოსვლა პრემიერაზე. მართლაც, ხომ დიდია ასეთი სიხარული? ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა.

ნება მომეცი, კიდევ ერთხელ გადაგიხადო უღრმესი მადლობა იმ ეკონომიური, სულიერი თუ მეგობრული დახმარებისათვის, რომელიც შენ გამოიჩინე. ესეც იცოდე, ამით მარტო მე და ჩემს კოლექტივს კი არა, ისრაელში მცხოვრებ მთელ ქართველ ებრაელობას და საქართველოს გაუწიე უდიდესი სამსახური იმ წვლილით და თანადგომით, რაც შენ გაწიე ამ სპექტაკლის შექნაში. ამისთვის ჭირიმე შენი!

ამ წერილს, კიდევ ერთი, ძალიან სერიოზული მიზეზის გამო გწერ. გთხოვ, ყურადღებით წაიკითხო და იფიქრო, როგორ შეიძლება დამეხმარო, არა, მე კი არა, დავეხმაროთ ერთმანეთს, ჩემი ამ, არცთუ ისე ადვილად გადასაჭრელი მოსაზრებისა და თხოვნის განხორციელებაში.

დღეისათვის ისრაელში საქართველოდან ამოსულია 100.000-მდე ქართველი ებრაელი.

ამ 35-37 წლის მანძილზე, ამოსულთაგან, მრავალი უკვე გზამართალს დაადგა, მრავალი ღრმად მოხუცდა, ჩემი თაობის კიდევ რამდენი, ან რამდენ ხანს ვიქნებით კიდევ? (უკვე 60 წლის ასაკს მივაღწიეთ). ისინი, ვინც მცირეწლოვანი ჩამოვიდა, ისრაელის მენტალიტეტით იზრდება და ქართულ ენას თუ წეს-ჩვეულებებს კარგავს, აქ დაბადებულებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ქართული ენა, კულტურა თუ ფოლკლორი ძალიან ჩქარი ტემპით დაადგება მივიწყების გზას, უმოწყალოდ იკარგება...

ადრე, როდესაც ახალი ჩამოსულები ვიყავით, იცოცხლე, მრავლად იყო ქართული ფოლკლორისა თუ სასცენო ხელოვნების სხვადასხვა მხატვრული კოლექტივები. 16 ცეკვის ანსამბლი, ამათგან ერთი, ძმების — ილია და ლალო ნამთალაშვილების ხელმძღვანელობით, ამერიკასა და სხვა ქვეყნებშიც კი იყვნენ გასტროლებზე, ეს ანსამბლი იყო თელ-ავივში. ახლა კარგა ხანია აღარ არის. ილია ღრმად მოხუცდა, ლადო კი გარდაიცვალა. იერუსალიმში, ქორეოგრაფ მიხეილ სეფიაშვილის ხელმძღვანელობით იყო შესანიშნავ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, არც ეს ანსამბლი არსებობს. რამლესა და ორ-იოდაში ქორეოგრაფი სიმონ ჯანაშვილი ხელმძღვანელობდა. ახლა მას მხოლოდ რამლეში შემორჩა ანსამბლი და ისიც გაჭირვებით არსებობს. ხაიფაში — შოთა მანაშვილმა ჩამოაყალიბა ცეკვის ანსამბლი, რომელმაც ძალზე ცოტა ხანს იარსება. შემდეგ კი, ისევ ხაიფაში — დავით დათიაშვილი ხელმძღვანელობდა ცეკვის ანსამბლს, რომელიც მოკლე დროში დაიხურა. მას შემდეგ ხაიფის ოლქში, ქორეოგრაფი შოთა წვენიაშვილი აყალიბებს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს, რომელმაც დიდხანს იარსება, მაგრამ დღეისათვის აღარც ის არსებობს. ბეერშევაში, ქორეოგრაფი — შალვა ეფრემაშვილი მრავალი წელი ხელმძღვანელობდა ბავშვთა ანსამბლს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟი — დავით ეფრემაშვილი აგრძელებს მამის დაწყებულ საქმეს. აშდოდში კი ქორეოგრაფი ანზორ ტორიკაშვილი, შემდეგ სიმონ ჯანაშვილი ხელმძღვანელობდნენ ანსამბლებს, ქართველებით ყველაზე მეტად დასახლებულ ამ ქალაქებშიც კი (30.000-ზე მეტი), დიდი ხანია აღარ არსებობს ანსამბლი. აშკელონში, ჯერ ილია ელიშაყაშვილი, ხოლო მისი ავადმყოფობის შემდეგ ქორეოგრაფი გურამ მიხელაშვილი ჩაუდგა ანსამბლს სათავეში და დღემდე მუშაობს, გურამ მიხელაშვილი ასევე ხელმძღვანელობს ხულონის ცეკვის ანსამბლს.. ლუდში. მუშაობს და ანსამბლს ხელმძღვანელობს მალვინა შამელაშვილი.

ბათ-იამში, ქართული კულტურის ცენტრში, რომლის დირექტორიც ბ-ნი ალბერტ შავიტი (ჟვიტიაშვილი) გახლავთ, ბავშვთა ანსამბლს სიმონ ყვითელაშვილი ხელმძღვანელობს.

და ბოლოს, ამ ცოტა ხნის წინათ ასევე ბათ-იამში, ქორეოგრაფმა თამაზ ციციაშვილმა ჩამოაყალიბა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი.

თუ ვინმე გამომრჩა, ბოდიშს ვიხდი მათთან.

ნახე, რამდენი იყო და რა ცოტაღა დარჩა!

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ანსამბლი, ჯერ ბავშვებიდან იღებს ანსამბლის წევრობის გადასახადს, ასევე ქალაქის მუნიციპალიტეტი უხდის ხელფასს ქორეოგრაფს, ცოტა შემოსავალი კონცერტებზე არის, და მაინც, რამდენმა ვერ გაუძლო და დაიხურა. ამის მიზეზი, ალბათ, დრო და დაფინანსების უკმარისობაა — ფორმები, სარეპეტიციო დარბაზი.

ბავშვები იზრდებიან, ცვლა კი იკლებს, ქორეოგრაფები ბერდებიან, ცვლა კი არ არის.

ისრაელში, წლების განმავლობაში, დიდი წარმატებით სარგებლობდა ვოკალური კვარტეტი „კოლანი“, აწ განსვენებული, საკმაოდ ცნობილი ხელოვანის, მუსიკათმცოდნეობის დოქტორის იცკა ათანელოვის და ასევე ცნობილი მომღერლის — ავთანდილ ქოსაშვილის ხელმძღვანელობით. ამ კვარტეტმა, თავისი არსებობის მანძილზე, საზღვარგარეთის მრავალი ქვეყანა წარმატებით მოიარა, მაგრამ, სავალალოდ, დღეისათვის აღარც ეს კვარტეტი არსებობს. დაახლოებით ერთი წლის წინათ შეიქმნა დუეტი, მომღერალი ქალის, ლუიზა მანაშეროვის და ალექს პელეგის შემადგენლობით, დუეტი ისრაელის მაყურებელთა შორის წარმატებით სარგებლობს, ეს დუეტი ძირითადად დაფუძნებულია და ასრულებს ამავე დუეტის დამაარსებლის, ხელმძღვანელის და მომღერლის, წარმატებული კომპოზიტორის, ალექს პელეგის და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

ისრაელში ასევე არიან ქართველი ესტრადის მომღერლებიც: მორის ჯანაშვილი, კაკული გურიელაშვილი, ილია მანკეპლაშვილი, ბუჭუნა მოშიაშვილი, ბადრი კაკიაშვილი, მამა-შვილი რომან და ზაზა ხუნდიაშვილები, იუზა მოშიაშვილი, მერაბ ჟვიტიაშვილი, მალხაზ სეფიაშვილი და სხვები, რომლებიც, ძირითადად, ქორწილებში, ნიშნობებში, დაბადების დღეებზე გამოსვლებით გარანტირებენ თავიანთ არსებობას, კონცერტებში კი იშვიათად იღებენ მონაწილეობას. თვით კონცერტებიც ხომ ძალიან იშვიათად იმართება. ასვე გვყავს, საესტრადო ხელოვნებაში, იმედის მომცემი ახალგაზრდობა: რინატ ბარი, და-ძმა სივან და მიშელ გურიელაშვილები, რაფაელ მირელა (მირელაშვილი) და სხვები.

და ბოლოს, ქართული ენის, კულტურის, ფოლკლორის და სასცენო ხელოვნების, სინთეზურად, წარმომდგენ-შემნარჩუნებელი — თეატრი.

ქართულენოვანი თეატრი ისრაელში 1972 წლიდან არსებობს. აშდოდში 1972 წლიდან, თეატრმოცოდნე, მირიამ ბათ-მოშეს, შემდეგ კი, მწერლისა და პოეტის იოსებ კრიხელის, ხოლო დღეისათვის ნაზი ნანიკაშვილისა და ზური ბოთერაშვილის ხელმძღვანელობით, მუნიციპალიტეტის და საზოგადოება „ნიული“-ს დაფინანსებით მოქმედებს თეატრალური კოლექტივი, რომელსაც „კამერულ თეატრს“ უწოდებენ. ხაიფაში, თითქმის 15 წელი მოქმედებდა თეატრი, რეჟისორ არკადი წიწუაშვილის და დავით ხუბელაშვილის ხელმძღვანელობით. ამ კოლექტივსაც მუნიციპალიტეტი, მუშათა საბჭო და საქართველოდან გამოსულთა გაერთიანება, ბატონი რაფი ბალუას ხელმძღვანელობით უწევდნენ დაფინანსებას. დაფინანსება შეწყდა და ეს თეატრიც დაიხურა. დავით ხუბელაშვილი ხულონში არსებულ, ზური ბოთერაშვილის თეატრს შეუერთდა, შემდეგ კი, დამოუკიდებლად შექმნა გერცელ ბააზოვის სახელობის თეატრი, რომელიც დღემდე მოქმედებს და რომელსაც ხულონის მერის მოადგილე, ბ-ნი შალომ დავიდი უწევს მფარველობას.

ზური ბოთერაშვილი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აშდოდში გადავიდა, იქ ნაზი ნანიკაშვილთან ერთად შექმნეს მუსიკალური კომედიის თეატრი, რომელსაც დღეს „კამერულს“ უწოდებენ.

რამდენიმე თვეა ბერ-შევაში სიმონ ქოსაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა კიდევ ერთი თეატრალური კოლექტივი, ეს კოლექტივიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან იღებს დაფინანსებას.

1978 წელს, ამოვედი თუ არა ისრაელში, 6 თვიანი ულფანის (ენის შესწავლის კურსი) დამთავრებისთანავე, ჩამოვაყალიბე თელ-ავივის ქართულენოვანი თეატრი, რომელიც 10 წლის იუბილეს (1988 წელს) ესწრებოდნენ საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე, ბ-ნი რამაზ ჩხიკვაძე, ბ-ნი სანდრო მრევლიშვილი, ქ-ნი ქეთევან კიკნაძე და ქ-ნი ნატაშა ჩხიკვაძე.

ეს თეატრი დაფინანსებას არავისგან არ ღებულობდა — მხოლოდ ჩემი საკუთარი და სპექტაკლებიდან შემოსული ფულით ფინანსდებოდა და მაინც 1993 წლამდე იარსება.

13 წელი თეატრი აღარ მქონია, და აი, 2006 წელს ისევ დავუბრუნდი. რეპეტიციებს ოჯახებში, მერე ნაქირავებ ოთახში ვატარებდი. ბოლოს გამოჩნდა ღვთისნიერი ადამიანი — ბათ-იამის ქართული კულტურის ცენტრის დირექტორი — ბ-ნი ალბერტ შავიტი, რომელმაც უსასყიდლოდ მომცა სარეპეტიციო დარბაზი, ითამაშა სპექტაკლში და დეკორაციების დამზადებაშიც დიდი დახმარება გამიწია (ყველა დეკორაცია ხომ ჩვენი ხელით გაკეთდა).

ამ სპექტაკლის მომზადებაში ხომ შენც მიგიძღვის უდიდესი წვლილი ეკონომიური, მორალური და ძმური თანადგომით, რამდენი რამ გამოგზავნე და ორჯერ, ჯერ რეპეტიციაზე, მერე კი — პრემიერაზე ჩამოხვედი. არ ვიცი შევძლებ თუ არა ამ სიკეთის გადახდას. იმედი მაქვს, მე თუ ვერ შევძლებ, ღმერთი მაინც გადაგიხდის სიკეთით.

ალბათ იტყვი, ამდენი ისტორია რა საჭიროა, ვის აქვს ამდენი კითხვის დროო. „შენც მართალი ხარ და მეც მართალი ვარ“. შენ ბევრის კითხვა გიწევს. ჩვენ აქ, ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელები კი უამრავზე უამრავს ვკარგავთ. 2600 წლის მანძილზე შესისხლხორცებული ენა და კულტურა ხელიდან გვიქრება. მართალია, ზოგმა შეიძლება თქვას, ან რას მიდიოდნენ ისრაელში, ან თავად მოუარონ, რაც უნდათო — ეს მთლად ასე ადვილი არ არის. ჯერ ერთი, რომ ჩვენ, ჩვენს ისტორიულ სამშობლოს დავუბრუნდით. ამდენი ხნის გაფანტულობის შემდეგ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ — ვიყოთ ღირსეული მოქალაქენი და ამ ქვეყნის ენითა და მენტალიტეტით უნდა ვიცხოვროთ, მაგრამ სადღაა საქართველოში გატარებული 2600 წლოვანი თანაცხოვრება, ყოველივე ქართულის შესისხლხორცება და ის ძმური სიყვარულით გაჟღენთილი გრძნობა, რომლითაც ასე ვტრაბახობთ, ჩვენ აქ და თქვენ მანდ? არა, ყოველივე ეს გრძნობა ფაფუკ, თბილსა და ტკბილ გაფრთხილებას და მოვლა-პატრონობას იმსახურებს.

აი, რატომ გწერ ასე ვრცლად, მინდა შენ და კიდევ მრავალმა ქართველმა იცოდეს, რომ აქ, ისრაელში, ცხოვრობს და იღწვის (მეტ-ნაკლები შესაძლებლობებით) ყველა ის ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი სხვა ადამიანი, საკუთარი ოჯახის, შვილების, შვილიშვილების, საკუთარი ჯიბის, ენერგიის და შრომის ხარჯზე. ისენი მაქსიმალურად უფრთხილდებიან, უნარჩუნებენ და ცდილობენ გაავრცელონ, მომავალ თაობას გააცნონ და გადასცენ ქართული ენის, კულტურის და ხელოვნების სილამაზე და სიღრმე.

მჯერა, რომ ცოტა თუ ბევრად დაგისურათე ჩვენი ხელოვნების მუშაკების და მოყვარულების შრომა და წვალება. მათში ყველაზე ცოდონი და უსუსურები თეატრალური კოლექტივებია, რადგანაც ქორეოგრაფიული თუ მუსიკალური კოლექტივები, მეტ-ნაკლები შემოსავლიანობით სარგებლობენ, რადგან მათ საშუალება აქვთ სხვა თემების აუდიტორიის წინაშეც გამოვიდნენ, ამაში ისინი საზღაურს იღებენ, მონაწილე ბავშვები სწავლების საზღაურს იხდიან, ამასთანავე, ცოტაოდენი, მაგრამ მაინც, სუბსიდირებით სარგებლობენ. თეატრი კი დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვან მაყურებელზე, რაც დღითიდღე კლებულობს. ამასთანავე, ზოგს აქვს სუბსიდირება, ზოგს — არა. ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, ვერ გაუძლებს ამდენ ხარჯს. ამიტომაც ვერც ერთი კოლექტივი ვერ ქმნის სათანადო დონის დადგმებს. ეს ჩვენ ვარქმევთ თეატრს, თორემ, კვირაში რომ ერთ რეპეტიციას გამართავს, ან წელიწადში ერთ ან ორ სკეტჩს დადგამს, რაის თეატრი უნდა ერქვას ასეთ კოლექტივს?

როგორც ხედავ, უკვე ბევრი რამ ქართული დაიხურა და გაქრა, სხვადასხვა მიზეზის გამო.

ისრაელის სახელმწიფოს არ ძალუძს სხვა ქვეყნების, ერების კულტურა და ხელოვნება აარსებოს და განავითაროს. მართალიც არის. მისი ამოცანაა ისრაელში ამოსული ებრაელობის დროულ, სწრაფ აბსორბციას მოახმაროს ფულადი თუ სხვა სახსრები, და არა მათი წარმომავლობის ქვეყნების კულტურის, ენის და ხელოვნების განვითარებას. აქ ხომ მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან და როგორ შეიძლება ასეთმა პატარა სახელმწიფომ, მსოფლიო ენები, კულტურა და ხელოვნება დააფინანსოს და აარსებოს?

თუ მოხდა და რომელიმე ქართველი ებრაელი „პოლიტიკოსის“ ან რომელიმე ქართული გაერთიანებისაგან მიიღებ რაიმე დახმარებას, იცოდე, სულით ხორცამდე მას უნდა ეკუთვნოდე, გამოხვალ მხოლოდ

→ მე-5 გვ.

ისრაელში ცნობილი მსახიობი, რეჟისორი და თეატრალური მოღვაწე მიხეილ ნანიკაშვილი ამ წერილს წერს თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის — "იბერიას" რექტორს — ბატონ აკაკი იობაშვილს

გაზეთ "მენორას" 15 წლისთავს ულოცავენ:

„მენორა“-ს — ებრაულ გაზეთს საქართველოში

ღრმად პატივცემულო ბატონო გურამ!

გულითადად გილოცავთ თქვენ — მთავარ რედაქტორს და სარედაქციო ჯგუფს გაზეთის დაფუძნების მე-15 წლისთავს.

21-ე საუკუნის უსაზღვროდ ფართო არჩევანის საინფორმაციო წყაროთა მიუხედავად, ჩვენთვის — ქართულენოვანი მკითხველისათვის, ფრიად საინტერესო რჩება „მენორა“-ს ყოველი გამოცემა. ერთ გაზეთში მოათავსო მრავალწახნაგოვანი, სხვადასხვა სფეროს აღმბეჭდავი ინფორმაცია და ამით კვლავ მიიზიდო მკითხველი, არც ისე მარტივ ამოცანად მესახება, თქვენ ეს ჰარმონია თავისთავად მოავლინეთ. თქვენი გაზეთის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ქართველ-ებრაელთა ისტორიის, კულტურის და განვითარების უმთავრესი ეტაპების გაცნობა. არ გამოტოვებთ აქტუალური ამბების გაშუქებას საქართველოში, ისრაელში და მსოფლიოს მრავალი კუთხიდან წარმოადგენთ თემში მიმდინარე პროცესებს, მოგვითხრობთ მათ ღირსეულ წარმომადგენლებზე.

დღეს ქართველი ებრაელობა ძალიან დაქსაქსული და გაფანტულია, მსგავსი ინფორმაცია ჩვენ გვაახლოებს, გვაცნობს ერთმანეთს და ამით უფრო ვძლიერდებით. ჩვენი თემის მრავალი უფროსი და საშუალო ასაკის წარმომადგენელი ჩვენი მომავალი თაობის დიდებისა და წინსვლის მაგალითი და საწინდარია.

ლიტერატურის სიახლენი და სპორტში წარმატებულნი, რელიგიის მოღვაწენი და საზოგადეობრივი ორგანიზაციების ღონისძიებანი, გაზეთის მრავალი ნომრის მარგალიტად მოგვევლინება. გამოქვეყნებული მასალები ავსებს ჩვენს ცოდნას მიმდინარე პროცესებზე და შუქს ჰფენს წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

ბატონო გურამ! გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს და ველით ახალ-ახალ გამოცემებს.

თქვენი მკითხველი და პატივისმცემელი დოქტორი დოდო ჩიკვიშვილი თელ-ავივის უნივერსიტეტი.

ილია მოსიაშვილის მილოცვა გაზეთ „მენორას“

სულითა და გულით ვულოცავ გაზეთ „მენორას“, მის რედაქტორს ბ-ნ გურამ ბათიაშვილს და რედაქციის კოლექტივს გაზეთის 15 წლის იუბილეს. 15 წელი გაზეთის არსებობისთვის მეტად მნიშვნელოვანი თარიღია. „მენორამ“ რთული, საინტერესო გზა განვლო და მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ-ებრაულ საზოგადოებაში, ასევე, დიდ როლს თამაშობს ორი ქვეყნის თანამეგობრობის საკითხში. ამ ძლიერ კოლექტივს ვუსურვებდი ყოველთვის ასეთივე საინტერესო ყოფილიყოს მისი თითოეული ნომერი, როგორც დღეს არის. დღეს „მენორას“ მკითხველი ჰყავს საქართველო, ისრაელში, შეერთებულ შტატებში, ვისურვებდი კიდევ უფრო გაზრდოდეს მკითხველი გაზეთს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ებრაელობის ცხოვრებას შეულამაზებლად ასახავს თავის ფურცლებზე და ამით იწვევს სხვა-დასხვა ქვეყნის მკითხველის ინტერესს.

ილია მოსიაშვილი
ბიზნესმენი

„მენორა“ 15 წლისაა

ძვირფასო მკითხველო!

1993 წლის თებერვალში საქართველოს ებრაელთა მუზეუმის შენობაში შეიკრიბნენ თბილისის ებრაული თემის ლიდერები.

შეკრების მიზანი იყო ქართულენოვანი ებრაული გაზეთის გამოცემა. ბევრი ვისაუბრეთ საკითხის ირგვლივ, გვეწადა გაგვერკვია: საჭიროა ასეთი გაზეთის გამოცემა, თუ არა, შესძლებდა თუ არა საქართველოს ებრაელობა გაზეთის გამოცემას?იმ საღამოს შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. მომდევნო დღეს მე შევხვდი გურამ ბათიაშვილს.დიდხანს ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ გამოცემულიყო გაზეთი, რომელსაც სახელად „მენორა“ დაერქმეოდა.

უნდა ავღნიშნო, რომ იმ პერიოდში გაზეთის გამოცემა ადვილი საქმე არ იყო: სტამბები არ მუშაობდნენ, საგაზეთო ქაღალდის ყიდვაც კი შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ერთ თვეში ყველაფერი მომზადდა და 1993 წლის მარტში გამოვიდა „მენორას“ პირველი ნომერი.

გაზეთი „მენორა“ უკვე 15 წელია საქართველოს და საქართველოში მცხოვრები ებრაელების ცხოვრების სრულყოფილი მემატიანეა.

ბევრმა ქარბუქმა და სიძნელეებმა გადაიარეს შენს მხრებზე, მაგრამ ამან ვერ შეარყია შენი გამიზნული რწმენა აგესახა ამ მეტად რთულ პერიოდში მომხდარი, დაგეკავშირებინა საქართველო და ისრაელი, ქართველი და ებრაელი.

დიდია გაზეთ „მენორას“ წვლილი ისრაელსა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებაში.

პატივცემულო გურამ! გისურვებ შენ და „მენორას“ თანამშრომლებს მომავალშიც ასე წარმატებით შეგესრულებინოთ ეს ისტორიულად დაკისრებული მისია ჩვენი ორი ერის ორი ქვეყნის სასიქადულოდ.

მენახემ ელაზარი
„ჯოინთის “ პირველი წარმომადგენელი საქართველოსა და კავკასიაში

„მენორა“-ს — ებრაულ გაზეთს საქართველოში

გულმხურვალედ ვულოცავ გაზეთ „მენორას“ რედაქტორს და მის კოლექტივს მოღვაწეობის 15 წლისთავს.

საინტერესო, მრავალფეროვან პუბლიკაციებს შორის ჩემთვის გამორჩეული იყო მრავალრიცხოვანი ისტორიული მასალა, რომელნიც გადმოგვცემენ ებრაელი და ქართველი ხალხის ისტორიულ ძმობას და ერთწარმომავლობას. ეს ყოველივე მივიწყებულ იყო. ამ გაზეთმა კი გაარღვია ბევრი აკრძალული თემა, ფართოდ გადმოგვცემდა ისრაელთა და ივერთა გმირულ წარსულს.

მრავალჟმიერ ყოფილიყოს "მენორა:, რათა მრვალჯერ გაეხარებინოს ჩვენი გულები, თორის მცნებათა ჭეშმარიტების ახსნა-გადმოცემით.

თ. მდინარაძე
პროფესორი

← მე-4 გვერდიდან

იქ, სადაც მას სურს, იმეგობრებ მხოლოდ მასთან, ვისაც ის გეტყვის. ასეთი გაერთიანებები, იცოცხლე, ბევრი გვქონდა და კიდევ ბევრი არსებობს. ბევრი ასეთი საზოგადოების ხელმძღვანელებმა სხვა სიკეთესთან ერთად ისიც არ იცინ, რა არის თეატრი, რას და ვის უნდა ემსახურებოდეს იგი. ხშირად „გიბრძანებენ“ რა და როგორ დადგა, თან წარმატების შემთხვევაში, ყველაფერი ხომ ეგენი არიან. ერთი სიტყვით, მაპატიე, მაგრამ — ნახერხს გაჭმევენ და რეიკები გამოყარეო — ითხოვენ.

ასეთი დამფინანსებლების და „უფროსების“ ხელქვეითობას, საერთოდ არაფერი გააკეთო, ჯობია, რადგან ვერც შემოქმედებით კმაყოფილებას მიიღებ, ვერც ნორმალური დონის დადგმას გააკეთებ, ვერც ხელოვნებას და ხალხს მოუტან რაიმე სიკეთეს.

ძალიან გთხოვ, ისე არ გამიგო თითქოს ჩემს ქვეყანას და ხალხს ვაძაგებდე. მე მთელი ჩემი არსებით ჩემს ქვეყანას ვეკუთვნი, ჩემი ხალხის კალთის შვილი ვარ, ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ მათ, მეც იგივე ვარ ჩვენი + - (პლიუს მინუსით).

მემხოლოდ ისრაელში ქართული კულტურის და ხელოვნების ყოფა-გაჭირვებაზე მინდა გავამახვილო შენი ყურადღება.

ძალიან გთხოვ, ამ წერილის შინაარსი გააცნო თეატრის მოღვაწეთა კავშირს, კულტურის სამინისტროს, ხელოვნების დაწესებულებებს, თუ გინდა ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ბიზნესმენების ყურამდეც მიიტანე,ჩემთვის სულერთია როგორ მოხერხდება ეს. იქნებ, გამოჩნდეს ღვთისნიერი პიროვნება ან რომელიმე დაწესებულება და დახმარება გაგვიწიოს ისრაელში მოქმედ ქართულ მხატვრულ კოლექტივებს.

სპექტაკლის მონაწილენი უსასყიდლოდ, მეტიც, თავიანთი ან თუ სხვა ქალაქებიდან არიან, ხელმძღვანელის ხარჯებით დადიან რეპეტიციებზე, შემოსავალი კი...

ჩემი აზრით, შეიძლება ამ მდგომარეობის გამოსწორება-გადარჩენა, საქართველოს მხრიდან ფინანსური თუ მორალური დახმარებით.

მოავლინონ ქორეოგრაფი, თეატრის რეჟისორი, ან მსახიობი, მოაწყონ შეხვედრა-გასაუბრება, ჩასწვდნენ სიძნელეებს, აღუთქვან შეძლებისდაგვარი დახმარება. შეიძლება ყველა კოლექტივმა, ცალ-ცალკე იმუშაოს, ამასთანავე ეცადონ შეიქმნას ერთი ცენტრალური თეატრი და ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომლებიც შეფობას გაუწევენ დანარჩენებს.

თუ საკმაო დონეზე განახორციელებენ დადგმებს, შეიძლება ხალხური მხატვრული კოლექტივების ფესტივალზე, ან უბრალოდ საგასტროლოდ მიიწვიონ საქართველოში, გადასცემენ სიგელებს, ან მიანიჭებენ რაიმე წოდებას მათ შემოქმედებას, აღნიშნავენ და აჩვენებენ საქართველოს ბეჭდვით თუ ვიზუალურ მედიაში (რასაც აქ სრულიად მოკლებულები არიან) აღუდგენენ საქართველოს მოქალაქეობას.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ისრაელის მრავალმა მოქალაქემ მიიღო ასეთი პატივი საქართველოში და დამსახურებულადაც.

ასეთი რამ დიდ ფსიქოლოგიურ ბუმს გამოიწვევს მათში. მეტი ენთუზიაზმით და მონდომებით იმუშავებენ, თუ დაინახავენ, რომ საქართველოში ვიღაც გამოეხმაურება და დააფასებს მათ შრომას. დამერწმუნე, ასეთივე დაფასება და შეფასება ქართული ხელოვნების მუშაკებსაც ეკუთვნით. ამის ღირსი კი, ჩემი აზრით, საკმაოდ არიან აქ.

თუ ასე მოხდება, დამერწმუნე, ძალიან გამოცოცხლდება ყველა კოლექტივი, გამოიწვევს შემოქმედებით შეჯიბრს მათ შორის და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს ხელოვნების დონის ზრდას და გაცილებით საინტერესოს გახდის მას.

არავითარ შემთხვევაში, არც ერთი აქაური პოლიტიკოსი თუ გაერთიანება არ უნდა იყოს სათავეში, თორემ ყველაფერს დაღუპავენ. უმჯობესია, საქართველოში შექმნან რაიმე კულტურისა და ხელოვნების ცენტრი და თბილისიდან უხელმძღვანელონ აქ მოქმედ მხატვრულ კოლექტივებს.

იმედი მაქვს, ჩემი თხოვნის, რამდენიმე ნაწილი დადებით გამოხმაურებას პოვებს საქართველოში, თუ არა და დავრჩებით ისევ სადღეგრძელოებში ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით „ბრახუნისტები“, ქართველი ქრისტიანებიც და ქართველი ებრაელებიც. ჩვენში ხომ, მხოლოდ სარწმუნოებაა განსხვავება და მეტი არაფერი. სხვა დანარჩენში ერთნაირი მენტალიტეტის და აზროვნების მქონენი ვართ.

ძალიან გული მწყდება და კეთილი შურით ვივსები, როცა ვხედავ,ანგაზეთებშიკითხულობ მაროკოელების, სპარსელების, ბუხარლების, ეთიოპიელების და სხვათა მხატვრულ კოლექტივებზე, მათ მოღწევებს, მოგზაურობას იმ ქვეყნებში, საიდანაც ჩამოვიდნენ. არ ვიცი ამას ისინი თავიანთი გამოსვლის ქვეყნების, აქ მაყურებლის სიმრავლით, თემობრივ-საზოგადოებრივი გაერთიანების, ბიზნესმენების თუ სხვა რამ საშუალებებით ახერხებენ, ის კია, რომ გული მტკივა...

არა და უამრავი, ძალზედ ნიჭიერი ხალხი გვყავს.

დარწმუნებული ვარ გამიგებ და ყველაფერს გააკეთებ, ჩვენთვის და თქვენთვის, ამ მეტად საჭირო და აუცილებელ საქმეში, რათა არ დარჩეს ჩემი თხოვნა-ვედრება — ხმა ღაღადისა ისრაელის უდაბნოსა შინა.

დიდი პატივისცემით და ბოდიშის მოხდით
მიხეილ ნანიკაშვილი
ისრაელი. ბათ-იამი
30 აპრილი, 2006 წელი.

გაზეთ „მენორა“-ს რედაქციას

მადლობა სემკ-ს

ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლიერება გამოვხატო ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის და მისი გაზეთის — „მოამბის“ მიმართ, ჩემი შვილიშვილების, ისრაელის არმიის ჯარისკაცების, ციპი და მიშელ ნაფთალის მორალური და მატერიალური წახალისებისათვის.

მწამს, ეს მხარდაჭერა კარგი სტიმული იქნება მათი შემდგომი წარმატებული სამსახურისა. მე კი გამოვთქვამ დიდ მადლიერებას კონგრესის პრეზიდენტის — მიშიკო მირილაშვილის მისამართით და მინდა ვუსურვო დიდი წარმატებები, რათა კვლავაც შეძლოს კეთილი საქმეების კეთება.

პატივისცემით, სოსო აჯიაშვილი

რედაქციისაგან:

როგორც ბატონი ს. აჯიაშვილის მადლობის წერილიც გვაუწყებს, სემკ-ი არაერთი დიდებული წამოწყების ავტორია, განსაკუთრებით ისრაელის არმიის მიმართ.

გაზეთ „მენორა“-ს რედაქცია სულითა და გულით უერთდება ბ-ნ ს. აჯიაშვილის მადლობას, სარგებლობს შემთხვევით და დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტს, „მენორას“ მეგობარს, ბ-ნ მიშიკო მირილაშვილს.

22.09.08

შარანსკიმ რეიგანის პრემია მიიღო

საბჭოთა "გულაგის" ტყვეს და ისრაელის ნათან შარანსკის პრემიერ მინისტრის ყოფილ მოადგილეს ნათან შარანსკის, ეს ჯილდო ვაშინგტონში საგანგებოდ გამართულ ცერემონიაზე გადაეცა. ყოფილმა პირველმა ლედიმ — ნენსი რეიგანმა სამართლიანობისათვის მებრძოლს პირადად გადასცა ჯილდო.

— ჩემმა მეუღლემ ერთხელ თქვა, რომ ნათანის ერთგულება თავისუფლებისადმი — ეს არის ადამიანის მისწრაფება. მისი გათავისუფლება საბჭოთა ციხიდან იყო რონის პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი — განაცხადა ნენსი რეიგანმა.

ცერემონიაზე აგრეთვე გამოვიდნენ სინდი მაკკეინი და სენატორი დაიანა ფაინსტაინი (კალიფორნიელი დემოკრატი).

როგორც ვაშინგტონის ტელევიზიამ გვამცნო, სინდი მაკკეინმა თავისი ქმარი, აშშ-ს პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკელების კანდიდატი ჯონ მაკკეინი, ნათან შარინსკის შეადარა.

— ორივენი პატიმრები იყვნენ: ჯონი თავისი ქვეყნის სამსახურის გამო, ხოლო ნათანი თავისი სინდისისადმი სამსახურის გამო. მათ ერთმანეთთან მძიმე გამოცდა აკავშირებთ.

22.09.08.

ეკლესიები სინაგოგებად

გერმანიაში ყოფილი ეკლესია და კომერციული შენობა სინაგოგებად გადაკეთდა.

ბილეფელდის ეკლესია ოფიციალურად გაიხსნა, როგორც სინაგოგა ამ გერმანულ ქალაქში მცხოვრებ ებრაელთა თემისათვის. იუწყებიან, რომ ეს არის პირველი საეკლესიო შენობა, რომელიც გამოყენებულია მსგავსი მიზნებით. უკანასკნელი კვირეების მანძილზე უკვე მეორე სინაგოგა გაიხსნა გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში. ამას გარდა, ახლახანს შტუტგარდში გაიხსნა პირველი ებრაული საშუალო სკოლა. სკოლაში 25 მოსწავლე სწავლობს. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ გერმანიაში გაიზარდა ებრაელთა რაოდენობა.

ბილეფელდში ებრაელთა თემი უკანასკნელ წლებში 40-დან 300-მდე ებრაელით გაიზარდა.

დღეს კრეფელდის სინაგოგაში 300 მლოცველი ეტევა. ყოფილი სავაჭრო კომერციული შენობის რეკონსტრუქციაზე 18 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

23.09.08.

ლიბანთან სამშვიდობო მოლაპარაკებების თაობაზე

— უახლოეს წლებში ისრაელს შეუძლია დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკება — განუცხადა ებრაული სააგენტოს კორესპონდენტს ამერიკაში ისრაელის ელჩმა, სანაი მერიდორმა.

— ისრაელის მოლაპარაკებები პალესტინასთან გრძელდება, მიუხედავად პოლიტიკური ბზარისა, უახლოეს წლებში შესაძლოა ლიბანის მიმართულება.

დადგეს დღის წესრიგში

— არ ვფიქრობ, რომ ლიბანთან მშვიდობის დამყარებაზე ოცნება ცოდვაა — თქვა მან. ვიმედოვნებ, უახლოეს წლებში, შევძლებთ ვიმუშაოთ არა ორი მიმართულებით (პალესტინა და სირია), არამედ — ლიბანთან სამშვიდობო მოლაპარაკებებზეც.

ელჩმა აღნიშნა პარადოქსული სიტუაცია: ერთი მხრივ პროგრესი პალესტინა-ისრაელისა და სირია-ისრაელის მოლაპარაკებებში და მეორე მხრივ ირანში ატომური ბომბის შესაქმნელად მიმდინარე წარმატებული მუშაობა.

— მომავალ წელს ირანელები შორს იქნებიან წასულნი. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რათა შევაჩეროთ ეს კოშმარი — თქვა მერიდორმა.

23.09.08

კურეიას გაფრთხილება

ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებების მთავარი მონაწილე — კურეია ალაპარაკდა პალესტინელების მხრიდან ძალადობის აქტების საშიშროებაზე იმ შემთხვევაში, თუ სამშვიდობო მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო.

ახმედ კურეიამ ლეგიტიმურად მიიჩნია ძალადობის ისეთი აქტები, როგორიცაა თვითმკვლელობები. ეს განცხადება მოჰყვა კურეიასა და ციფი ლივნის შეხვედრას. როგორც კურეიამ აღნიშნა, ლივნიმ იგი დაარწმუნა, რომ მოლაპარაკებები გაგრძელდება მანამდე, სანამ არ ჩამოყალიბდება ახალი კოალიცია.

23.09.08.

სამხედრო ძალის გამოყენება

პალესტინის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირი არ გამორიცხავს სამხედრო ძალის გამოყენებას იმისათვის, რომ ხელახლა ჩაიგდოს ხელში ღაზის სექტორი.

გენერალმა დიაბ ალალიმ, პალესტინის ავტონომიის უსაფრთხოების უფროსმა, შეამცირა ალბათობა ასეთი სცენარისა, განაცხადა საერთაშორისო არაბულენოვან გაზეთ „ა-შარკ ალ-ავსტანას“-თანინტერვიუში,მაგრამდასძინა:„ყველამ უნდა იცოდეს, რომ ასეთ შესაძლებლობაზე უარი არ გვითქვამს და თუ სიტუაცია მოგვცემს საშუალებას, განვახორციელებთ მას.

ჰა ხდება მსოფლიოს ებრაელ სამყაროში?

ებრაული სააგენტოს ინფორმაციის მიხედვით

ტერორისტულმა დაჯგუფება „ხამასმა“ 2007 წლის ზაფხულში ღაზის სექტორიდან გააძევა პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარისადმი ლოიალურად განწყობილი ძალები.

23.09.08

დეზერტირობა

ისრაელის სამხედრო საჰაერო ძალის ოფიცერი, რომელიც საიდუმლო ინფორმაციებს ფლობს, გამოცხადებულია დეზერტირად. ისრაელის არმიის მიერ ამ ინციდენტის შესახებ ინფორმაციისგავრცელებააკრძალულია.მაგრამინტერნეტ რესურს ynet-მა განაცხადა, რომ სამხედრო საჰაერო ძალების მაიორი თვითნებურად წავიდა, გაფრინდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და უარს ამბობს დაბრუნებაზე.

არმია შეშფოთებულია, რომ მაიორს შეუძლია გამოაშკარაოს სამხედრო საჰაერო ძალების საიდუმლო ინფორმაციები, რომელსაც იგი ფლობდა სამსახურის პერიოდში, მუშაობდა მკაცრ საიდუმლო პროექტებზე. სამხედრო პოლიცია დაინტერესდა ამ ოფიცრით ჯერ კიდევ მარტის თვეში. იგი ეჭვმიტანილი იყო იმაში, რომ ეწადა გაეხსნა პერსონალური საქიანობა, როდესაც უკვე გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან და იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი გაფრინდა აშშ-ში ჯერ კიდევ აგვისტოში, სადაც მას ელოდებოდა ოჯახი — გვაცნობებს ynet.

23.01.08.

ლონდონელი ებრაელები განაწყენდნენ

ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ებრაელები განაწყენდნენ იმის გამო, რომ ქალაქის ხელისუფლებამ არჩევნები იომ — ქიფურში დანიშნა.

არჩევნები განაპირობა ადმინისტრაციული რაიონის ერთ-ერთი წარმომადგენლის — ლიბერალური დემოკრატის — გადადგომამ. ამ რაიონში ცხოვრობს 300-ზე მეტი ებრაელი, ამომრჩეველთა 4%.

— ეს სირცხვილია — განაცხადა დევიდ მეისონმა ადგილობრივ გაზეთში — მერიის მრჩეველებს დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებოდათ, რომ ენახათ სადღესასწაულო კალენდარი. ასეთი რამ პირველად არ ხდება, ისინი ნიშნავენ სხვადასხვა ღონისძიებებს შაბათ დღეს.

მერიის მრჩეველთა პრესმდივანმა განაცხადა:

— ჩვენ გვქონდა თარიღის არც თუ ისე დიდი არჩევანი. არჩევნები უნდა ჩატარდეს 30 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე შაბათკვირის გარდა. დიდ ბრიტანეთში არჩევნები ტრადიციულად ხუთშაბათ დღეს ტარდება. ამ ტრადიციის დარღვევამ და დავიწყებამ შეიძლება ხელი შეუშალოს ელექტორატს ის, ვინც ვერ მოახერხებს საარჩევნო უბანზე მოსვლას, მას შეუძლია ფოსტით გამოაგზავნოს ბიულეტენი.

24.01.08.

წინააღმდეგობა გაეროში

ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა ირანი მშვიდობის მთავარ საფრთხედ გამოაცხადა.

24 სექტემბერს გაერთიანებული ერების სხდომაზე პერესმა თავის გამოსვლაში ირანი ფანატიზმის ცენტრად დაასახელა, მან დაადანაშაულა იგი ტერორისტული ორგანიზაცია "ხამასისა" და "ჰესბოლას" თანადგომაში და ატომური ბომბის დამზადებაში.

პერესმა სირიას მოუწოდა მიუჯდეს ისრაელთან მოლაპარაკების მაგიდას, მიბაძოს ეგვიპტეს და იორდანიას, რომლებმაც დაამყარეს სამშვიდობო შეთანხმება ისრაელის სახელმწიფოსთან. მათი პროგნოზით პალესტინელებთან მშვიდობა დამყარებული იქნება უახლოეს პერიოდში. თავისი გამოსვლის შემდეგ პერესმა თავზე დაიხურა კიპა და დაიწყო ლოცვა ისრაელში მშვიდობისათვის.

24.09.08.

ისრაელის მოსახლეობა

ისრაელის 7.2 მილიონი მცხოვრებიდან 75.6% ებრაელია. ეს აჩვენა მოსახლეობაში ყოველწლიურმა გამოკითხვამ. წინა წლებში ისრაელის მოსახლეობა გაიზარდა 1,8%-ით და 2007 წელს მიაღწია 7, 243, 600 ადამიანს — იუწყება ცენტრალური სტატისტიკური ბიურო, რომელიც აქვეყნებს შესაბამის ინფორმაციას ყოველ წელს 1 კვირით ადრე როშ-ჰაშანის დაწყებამდე. 20%-ს შეადგენენ არაბები, დანარჩენი 4,4,%-ს — სხვა ერები.

2007 წელს ქვეყანაში დაიბადა 151,679 ბავშვი, რაც 2,4%-ით მეტია წინა წლებთან შედარებით.

ისრაელის მოსახლეობა გაცილებით ახალგაზრდაა, ვიდრე სხვა აღმოსავლეთ ქვეყნებისა. 28%-ს შეადგენს 14 წლამდე ასაკის ბავშვი.

ამ ათვლაში მოყვანილია ეკონომიკური მაჩვენებელი, აღნიშნულია ეკონომიკისა და ექსპორტის ზრდა.

აქცია ლონდონში

27 სექტემბერს ლონდონში ათასობით ადამიანი გამოვიდა დემონსტრაციაზე. ისინი ითხოვდნენ ისრაელის სამხედრო პირის — გილად შალიტის გათავისუფლებას. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი შეუერთდა დემონსტრანტებს. იგი იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც შალიტს ახალი წელი მიულოცა. მისალოცი ბარათები იგზავნებოდა ლონდონში არსებული ისრაელის საელჩოს დახმარებით. საერთაშორისო ორგანიზაციამ „წითელმა ჯვარმა“ პირობა დადო, რომ უკლებლივ ყველა მილოცვას გადასცემდა ღაზის სექტორს.

დემონსტრანტებმა გაიარეს გრინ-პარკიდან „ლირიკ თეატრამდე“ და ითხოვდნენ შალიტის განთავისუფლებას.

დემონსტრანტებს წარმოადგენდნენ: ებრაული სკოლები, ახალგაზრდული მოძრაობები, ებრაული ორგანიზაციები, უბრალო გულშემატკივრები და სხვა ორგანიზაციები, რომელთაც ეჭირათ პლაკატები სხვადასხვა სლოგანებით: „819 დღე და ჩვენ კვლავ გელოდებით,“ „ჩვენ განვიცდით უშენობას“, აგრეთვე შალიტის ფოტოები. დემონსტრანტებს ეცვათ აგრთვე ფეხბურთის ფორმები მოხატული შალიტის ფოტოებით. თეატრის წინ ათასობით დემონსტრანტი უსმენდა ისრაელის ელჩს რონ პროზონის. შალიტის მამას — ნოას და აგრეთვე, ისრაელელ მომღერალს — ეჰუდ ბანაის. ნოა შალიტმა დემონსტრანტებს განუცხადა:

— მიუხედავად იმისა, რომ ციპი ლივნი არის არჩეული „კადიმის“ პარტიის ლიდერად „არავინ არ მოასვენებს“.

და დაამატა:

— მე მინდა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ პროტესტი გამოხატოს შალიტის დაკავების გამო. იგი ორი წლის მანძილზე ყოველგვარი ჰუმანიტარული დახმარების გარეშე სრულ იოზოლაციაში ჰყავთ. მინდა მივმართო „ამნისთი ინტერნეიშენალის“ ორგანიზაციას ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს. მე ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ გილადი დავაბრუნო სახლში.

ამას წინათ პალესტინის ერთ-ერთი ორგანიზაციის ლიდერმა „სანდო თაიმსს“ განუცხადა, რომ შალიტს ძალიან კარგად ექცევიან, მაგრამ არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას მასთან მიახლოების საშუალება არ ჰქონია.

ირანის დემონსტრაციაზე პალინის წინადადება გაადიდო

ებრაული ჯგუფების მიერ ორგანიზებულ ანტიირანულ დემონსტრაციაზე სარა პალინს უკვე აღარ იწვევენ.

ეს გადაწყვეტილება ორდღიანი კამათის შემდგომ მიიღეს, რომელიც ირანის პრეზიდენტის მახმუდ ახმადინეჯადის საპროტესტო აქციის ორგანიზატორებს შორის იყო, რომელიც გაეროს შენობის წინ მიმდინარეობდა.

სააგენტო "JT" განცხადების შემდგომ აგორდა სკანდალი, რომ პალინი, რესპუბლიკელთა ბლოკიდან წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატმა მიიღო მოწვევა კონფერენციაზე ამერიკის წამყვანი ებრაული ორგანიზაციების პრეზიდენტებისგან, გამოსულიყო 22 სექტემბერს დაგეგმილ დემონსტრაციაზე. სენატორმა ჰილარი კლინტონმა, რომელმაც ანალოგიური მიპატიჟება მიიღო რამდენიმე კვირის წინ, განაცხადა, რომ უარს ამბობს დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებაზე. კლინტონის პრეს-მდივანის განცხადებით, სენატორი შეშფოთებულია იმით, რომ ეს დემონსტრაცია პოლიტიკური პარტიის ღონისძიებად გადაიქცევა.

— პალინი დარწმუნებულია, რომ ბირთვული ირანის საშიშროება უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე პარტია და პოლიტიკა — თქვა პალინის პრეს-მდივანმა ტრეისი სმიტმა.

ნაციონალური ებრაული დემოკრატიის საბჭომ კლინტონს დაუჭირა მხარი იმაში, რომ არ მიეღო მონაწილეობა დემონსტრაციაში.

ბერეშითი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?3

რუბრიკას უძღვება

საქართველოს მთავარი რაბინი

არიელ ლევინი

„დასაწყისში შექმნა გამჩენმა ცა და მიწა“

ასეიწყება გამჩენის მიერ მოშესათვის ნაკარნახევი მარადიული წიგნი, ეგრეთ წოდებული - მოშეს ხუთწიგნეული, თორა (ხუმაში), კაცობრიობისათვის ყველაზე ხშირად საკითხავი წიგნი.

და ჩვენს ბრძენებს, თორის კომენტატორებს, უკვე უჩნდებათ კითხვა: „რატომ არ იწყება თორა პირველი მცნებიდან, რომელიც ებრაელებს მისცა გამჩენმა?“ ხომ ყველასათვის ნათელია, რომ თორა გამჩენს ჩვენთვის არ უბოძებია სამყაროს შექმნის ისტორიის მოსათხრობად. ის ხომ ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის, თორის ბოძებისა და მისი მცნებების შესასრულებლად იყო გამიზნული. პირველ მცნებაში ხომ გამჩენი გვეუბნება: „მე ვარ გამჩენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანათ თქვენ ეგვიპტიდან“. ამით კი ხაზი გაუსვა მისი ქმნილების ძირითად მიზანს.

თუმცაღა, გასაგებია, რომ „ბერეშითი“-ს წიგნის პირველივე წინადადებებში რწმენის საფუძვლებია მოცემული: გამჩენის მიერ მთელი სამყაროს შექმნა, ის, რომ ადამიანს აქვს არჩევანის უფლება, ის, რომ გამჩენს მასთან ურთიერთობა აქვს, ის სჯის და პატიობს მას, ასწავლის მონანიებას და რწმენის სხვა საფუძვლებს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, თორის უდიდესი კომენტატორი რაში გვეუბნება, რომ თორის პირველი წინადადება გვიმტკიცებს იმას, რომ ცა და დედამიწა გამჩენს ეკუთვნის და ის აძლევს მას იმ ხალხებს, ვისაც თავად ირჩევს. და ამიტომ, ისრაელის მიწა, რომელიც გამჩენმა უბოძა ებრაელ ხალხს, სამართლიანად ეკუთვნის მათ.

ადამიანის შექმნის მომენტში, სხვა დანარჩენი სამყაროს შექნისაგან განსხვავებით, გამჩენი ვიღაცას მიმართავს: „შევქმნათ ადამიანი“. ჩვენს ბრძენებს აქვთ სამი ვერსია იმის შესახებ, თუ ვის მიმართავს გამჩენი: 1. ანგელოზებს, რათა გვასწავლოს ჩვენ, რომ მიწიერი მოსამართლეც არ უნდა წყვეტდეს საკითხებს მარტო. ის უნდა მოეთათბიროს სხვა მოსამართლეებსაც. 2. მთელს სამყაროს, რადგანაც ადამიანში თავმოყრილია სხვადასხვა ქმნილების თვისებები – ადამიანის სული, სულიერი ბუნებისაა და ანგელოზებისას ჰგავს, სხეულის აგებულება – ცხოველებისას. 3. გამჩენი მიმართავს თავად ადამიანს – ის ხომ არაა სრულყოფილი და სჭირდება როგორც ფიზიკური (წინადაცვეთა) ასევე სულიერი კორექტირება. ამიტომაც გამჩენი და ადამიანი ერთად ქმნიან ადამიანს.

საინტერესოა, რომ გამჩენი სამყაროს შექმნის ყოველ დღის დასრულებისას ხედავს, რომ ეს კარგია, ანუ შექმნილია სრულყოფილად და ცვლილებებს არ ექვემდებარება. მეექვსე დღეს კი, ადამიანის შექმნის შემდეგ ამბობს: „და აი, ძალიან კარგია“. სიტყვა ძალიან წმინდა ენაზე – „მეოდ“ იგივე ასოებს შეიცავს, რასაც „ადამ“, მხოლოდ სხვა თანმიმდევრობით. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ადამიანი კარგია, სრულყოფილია მაშინ, როცა ის ცვლის საკუთარ თავს, გად

თანადგომის მერიდიანი

ცისარტყელა

დარწმუნებული ვარ შემომქმედს ერები ერთმანეთისგან განსაცალკევებლად კი არა, განსხვავებულთა სიყვარულით თანაცხოვრებისა და ურთიერთ ხელისშეწყობისათვის შეუქმნია. ამის საუკეთესო მაგალითად თბილისი და მისი სხვადასხვა რჯულის მოქალაქეთა თანაცხოვრება მიმაჩნია.

მახსოვს პეროვსკაიას ქუჩას დილით როგორი გულმოდგინეობით გვიდნენ ხოლმე დიდი ცოცხებით, ქურთი აზიზა და მისი თავშალწაკრული, ფაშფაშა ცოლი. ალბათ, ბევრი დამეთანხმება, თუ ვიტყვი, ასეთი გულმოდგინება, ამ მძიმე საქმის ასეთი სიყვარული არც ერთ თბილისელ ქართველს არ გამოუვლია. ალბათ, ამიტომ ემსახურებიან ესოდენ ერთგულად ჩვენი ქალაქისათვის ესოდენ საჭირო ამ საქმეს ჩვენი საყვარელი თბილისელი ქურთები.

თბილისელი რუსი ქალები ჩემს მეხსიერებაში თეთრ ხალათში ჩაცმული თბილი დეიდების სახეებად აღიბეჭდა, სისხამ დილით ჩვენი ბავშვებისათვის ესოდენ საჭირო რძისა და არაჟნის გასაყიდად რომ იყვნენ გამოსულნი. ყველა უკრაინელი ჩემი უახლოესი ნათესავი — კოლია ბიძია მეგონა, მსოფლიო ისტორია ზეპირად რომ იცოდა. თანადროულად, როგორც უდიდესმა ჯენტლმენმა, მანდილოსანის შეურაცმყოფელს ისეთი დღე დააყენა, რომ თვითმხილველები ამ ამბავს დღესაც იხსენებენ. ჩემი ბავშვობა და ჩემი ქალაქი ჩემი პატარა რუსი მეგობრით, ვიტიათიც მიყვარს, რადგან სამშობლო ხომ ის ხალხია, შენ რომ გიყვარს და მათაც რომ არანაკლებ უყვარხარ.

რატომღაც ჩემს მეხსიერებაში ყველა აზერბაიჯანელი ყოველთვის კოსტიუმში გამოწყობილ იმ დაბალ და შავგრემან მამაკაცად შემორჩნენ, ჩვენს ლამაზ ქალაქს და ქვეყანას აზიურ ელფერს რომ სძენდნენ. მერე კი მარნეულის მიდამოებში მოხვედრისას ამაში კიდევ უფრო დავრწმუნებულვარ, რადგან მხოლოდ იქ გამხსენებია ბავშვობაში წაკითხული აზიური ზღაპარი, მხოლოდ იქ მიოცნებია ვყოფილიყავი სულთანი, ბევრი ლამაზი ცოლი რომ ჰყავს, მაგრამ ჩემთვის ადვილად გასაგები მიზეზის გამო, მხოლოდ ერთი გამორჩეული და უეჭველად ქართველი.

ადრეული წლების თბილისი იმ თბილისელი სომხების გარეშეც ვერ წარმომიდგენია, ოსტატურად რომ „აპაჩინკებდნენ“ ყველაფერს, ჩვენი კოლორიტული თბილისის თითქმის ყველა უბანში მდგარ ჯიხურებში, მაშინდელი უფროსი თაობის ხშირი თავშეყრის ადგილები რომ იყო.

მე ჩემი ქვეყანა ვერც იმ ჩემი ებრაელი მეგობარი ბიჭების გარეშე წარმომიდგენია, განუყოფელნი რომ არიან იმისა, რასაც სისუფთავე ჰქვია, რასაც უანგარო ბავშვური სიყვარული ჰქვია.

ანდა, განა კი იქნებოდა სრულყოფილი ჩემი ლამაზი ბავშვობა, რომ არა ის ჩემი ოსი მეგობარი, დიდი ხნის წინ ერთი ბებია რომ გვზრდიდა და ცხოვრების რეალობამ მე და ის სხვადასხვა ქვეყნების მაცხოვრებლებად გვაქცია, თუმცა კი ამით მონატრებისა და სიყვარულის გრძნობას ჩრდილიც კი არ მიაყენა.

პესიმისტი არა ვარ, თუმცა, ცხოვრებამ უაზრო ოპტიმიზმსაც გადამაჩვია და დედამიწაზე სიარულიც კი მასწავლა, მაგრამ პრაგმატიკოსი არასოდეს გავმხდარვარ და ამიტომაც ისევ საოცრად მჯერა ჩემი ქვეყნისა და ჩემი ქალაქის, სადაც უამრავი ერისა, თუ რელიგიის წარმომადგენლები, ერთმანეთის ძმები და დები გამხდარან. აქ, სადაც ყველაზე ჭკვიანი და გამოჩენილი სომხები იბადებოდნენ. აქ ხომ ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში სხვა ყველა ებრაელისაგან განსხვავებული ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ, რომელსაც ეს „წოდება“ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულებსაც კი არ შეუცვლიათ.

ამიტომაც მაგონებს ჩემი თბილისი ცისარტყელას, თავისი ზღაპრული ლამაზი ფერების სიმრავლით.

საამაყოა თბილისელობა და ამავდროულად ძნელიც!

სევერიან ჯუღელი.
შვედეთში ქართული სახლის ხელმძღვანელი, დიპლომატი, მედიცინის დოქტორი.

მეცნიერის დიდი შრომა



ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა გამოსცა პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნი „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში“.

წიგნის რედაქტორები არიან: პროფ. სოსო სიგუა და პროფ. რუბენ ენოხი. გამომცემლობის რედაქტორები — თემურ ამყოლაძე, ელგუჯა თავბერიძე.

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის მრავალწლიანი შრომის ნაყოფი — „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში“ დიდებული ნიშანია ქართველი ებრაელებისადმი ქართული მწერლობის არა მხოლოდ ყურადღებისა, არამედ თანადგომის.

ავტორი წიგნის შესავალში წერს:

„სამწუხაროდ, ქართველ მწერალთა თვალთახედვით აღქმული და წარმოსახული ებრაული სინამდვილე დღემდე არ ქცეულა მონოგრაფიული შესწავლის საგნად.“

წინამდებარე წიგნის მიზანია, რამდენადმე მაინც შეავსოს ზემოთ აღნიშნული კუთხით, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტორიულ მეცნიერებაში არსებული ხარვეზი და ხსენებული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას იმ დამოკიდებულებაზე, რასაც ქართული მწერლობის ცნობილი წარმომადგენლები ავლენდნენ ებრაული თემისადმი.“

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილს უზარმაზარი შრომა გაუწევია. ქართულ მწერლობაში ებრაული თემის შესწავლას იგი იწყებს მეცხრე საუკუნიდან და მოდის რევაზ მიშველაძის შემოქმედებამდე. წიგნში ებრაული საკითხის შესწავლის მიზნით განხილულია იოანე ბატონიშვილის, გიორგი ავალიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, ანტონ ფურცელაძის, ზაქარია ჭიჭინაძის, შიო არაგვისპირელის, დავით კლდიაშვილის, ვასილ ბარნოვის, შალვა დადიანის, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, მარიამ გარიყულის, კონსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ლევან მილორავას, ნოდარ დუმბაძის, ოტია იოსელიანის, რეზო ჭეიშვილის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება.

წიგნს ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

"ხელოვნების, ისტორიისა და თეორიის საკითხები. XXIV"



ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განაგრძობს ჩინებულ წამოწყებას — გამოვიდა კულტურის, ისტორიისა და თეორიის საკითხების XXIV ტომი ებრაული კრებული. კრებუის მთავარი რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე. ტომის რედაქტორი როლანდ ბურჭულაძე, სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში გახლავან: ჯ. აჯიაშვილი, რ. ბურჭულაძე, ნ. გოისაშვილი, კ. კაკიტელაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, თ. მახარაშვილი, ი. ოფირი (ისრაელი), მ. ქვრივიშვილი, დ. ყოლბაია (პოლინეთი), ნ. ჩიქოვანი, გ. წერეთელი. ტომში დაბეჭდილია ნინო გოისაშვილის "მესიანიზმისა და სიონიზმის ურთიერთმიმართების საკითხისათვის", ინგა ზაბახიძის „ისრაელ იორდანიის საიდუმლო მოლაპარაკებები 1947-1949 წლებში." ზურაბ ჟვანიასა და გურამ ლორთქიფანიძის „საქართველოშI ებრაული გალუთის ამსახველი ახალი მასალები", ებრაელების საქართველოში (დოკუმენტების ნუსხა), ნისან ბაბალიკაშვიის „ებრაული წარწერები საქართველოში" და რონალდ ბურჭულაძის წერილი ონომასტიკის საკითხებზე.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

JDC

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

JAFI

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი